# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/202

ქ. თბილისი

22 ივლისი 2019

**სტუ-ის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში სტუდენტებისთვის ფაკულტატიური სასწავლო კურსების და „პრეკალკულუსის“ საკითხის შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამებში, რომლებშიც ისწავლება მათემატიკა/კალკულუსი (გარდა „მათემატიკის“ პროგრამისა), სწავლების პირველ სემესტრში ფაკულტატიური სასწავლო კურსის სახით დაემატოს „პრეკალკულუსი“ (4 კრედიტი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **გ. სალუქვაძე**